


## საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეპი)

### "ნეტო აღრიცხვის" დანერგვის მარეგულირებელი ჩარჩოები

მომხმარებლის მიერ საკუთარი მოხმარების დაკმაყოფილებისა და მიკრო-სიმძლავრის განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა წამახალისებელი პოლიტიკით არის მხარდაჭერილი. წახალისების პოლიტიკა შეიძლება იყოს შედარებით უფრო აგრესიული ან უფრო ზომიერი. აგრესიული წახალისების პოლიტიკა ძირითადად ხორციელდება ისეთ ქვეყნებში, სადაც მაღალია წიაღისეული საწვავის გამოყენებით წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობა და გააჩნიათ მკაცრი გალდებულებები განახლებადი ენერგიის წილის გაზრდისათვის. ასეთ პირობებში წახალისების მთავარი ინსტრუმენტია მცირე სიმძლავრის განახლებადი ენერგიის მწარმოებლებისათვის მაღალი ტარიფების (ე.წ. Feed-in Tariff და ა.შ.) შეთავაზება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთი პოლიტიკა აძლიერებს დაწოლას სამომხმარებლო ტარიფებზე და მოითხოვს განმახორციელებელი ქვეყნისგან გარკვეულ ეკონომიკურ გამძლეობას. ზომიერი წახალისების პოლიტიკა ორიენტირებულია იქითქენ, რომ გამარტივებული წესით, აღმინისტრაციული თუ სხვა სახის ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნით, უზრუნველყოს გარკვეული შედაგათიანი პირობების დაწესება და მომხმარებლისთვის სტიმულის მიცემა, რომ საკუთარი სახსრებით ან გარკვეულწილად დონორული ხელშეწყობით განავითარონ საკუთარი ენერგიის წყაროები და სრულად ან ნაწილობრივ დაიკმაყოფილონ საკუთარი ენერგომოთხოვნილება. ასეთი სახის პოლიტიკა არ ახდენს შესამჩნევ ზეგავლენას სატარიფო პროცესებზე და ეფუძნება უფრო სამართლიან საწყისებს.

მომხმარებლის საკუთრებაში არსებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების განვითარების ერთ-ერთ ტრადიციულ და ფართოდ გავრცელებულ პოლიტიკას წარმოადგენს ე.წ. "ნეტო აღრიცხვა" (Net-Metering), რომელიც არის საერთაშორისო დონეზე ფართოდ გავრცელებული ტერმინი და გამოიყენება მაშინ, როდესაც ელექტროენერგიის მომხმარებელს გააჩნია საკუთარი ენერგიის წყარო, რომელიც პარალელურად ჩართულია ქსელში და, პირველ რიგში, ახდენს თავისი ენერგომოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო ჭარბად წარმოებულ ენერგიას გასცემს ქსელში. ასეთი სქემის დროს საჭიროა სპეციალური მრიცხველი, რომელიც ელექტროენერგიას აღრიცხავს ორი მიმართულებით და შეუძლია მოხმარებული და წარმოებული ელექტროენერგიის სალდოს გამოყვანა. სწორედ ამ სხვაობიდან ანუ ნეტო სიდიდიდან ხდება შემდგომ ანგარიშსწორება მომხმარებელსა და ელექტროენერგიის მიმწოდებელს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ

საანგარიშესწორებო პერიოდზე მომხმარებელმა აწარმოა უფრო მეტი ენერგია, ვიდრე მოიხმარა, განაწილების ლიცენზიატს/ ელექტრო-ენერგიის მიმწოდებელს მომხმარებლის სასარგებლოდ მართებს ჭარბი კვტ-სთ-ები, რომლის გაქვითვის/ანაზღაურების სხვადასხვა ხერხი არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ჭარბი კვტ-სთ-ების მომდევნო საანგარიშესწორებო პერიოდის ქვითარში კრედიტად ასახვა. ქვემოთ ნახაზზე მოცემულია "ნეტო აღრიცხვის" პროგრამაში ჩართული საცალო მომხმარებლის გამარტივებული საილუსტრაციო სქემა.



არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლითაც განისაზღვრება "ნეტო აღრიცხვით" მოსარგებლე მომხმარებლების კატეგორია და გავრცელების ინტენსივობა. პირველ რიგში, შეზღუდვას ექვემდებარება საკუთარი ენერგიის წყაროს მიერ გამოყენებული პირველადი ენერგიის სახეობა და სიმძლავრე. როგორც წესი, მომხმარებელი შეზღუდულია ააშენოს მის მიერ ქსელიდან მოთხოვნილ სიმძლავრეზე მეტი სიმძლავრის მიკროელექტროსადგური. ამასთან, როგორც წესი, იგი უნდა იყოს განახლებად ენერგიაზე მომუშავე. განაწილების ლიცენზიატებს, ქსელის მართვისა და ტექნიკური სტანდარტების შესრულების თვალსაზრისით, გააჩნიათ ქსელთან მიერთებული მიკროელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის შეზღუდვის საჭიროება, რომელიც შემოიფარგლება ქსელში პიკური დატვირთვის 2-4 პროცენტით.

მსოფლიოში "ნეტო აღრიცხვის" პოლიტიკამ ფართო გავრცელება პაოგა. აშკარაა, რომ ენერგეტიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის ერთადერთი აუცილებელი პირობა აღარაა მხოლოდ დიდი ენერგოობიექტების მშენებლობა, ძალიან დიდი პოტენციალი

არსებობს ასევე საცალო მომხმარებლებში, რომლებსაც ძალუბთ დაიკმაყოფილონ საკუთარი ენერგომოთხოვნილებები მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობით. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიკროელექტროსადგურების განვითარებას შესაძლოა ჰქონდეს მრავალმხრივი სარგებელი, მათ შორის:

- გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების ასაშენებლად საჭირო ფინანსური დანახარჯების შემცირება;
  - იმპორტირებული ენერგიის მოცულობის ან თბოელექტროსადგურებზე გამომუშავების შემცირება;
  - ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირება გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებში;
  - მომხმარებელს უჩნდება დამატებითი შესაძლებლობა დაზოგოს ფინანსები ენერგიის შესყიდვაზე ან სულაც გახდეს ენერგიის მიმწოდებელი;
  - ხელს შეუწყობს დასაქმებას და ეკონომიკურ აქტივობას, იქიდან გამომდინარე, რომ გაიზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ ინჟინრებსა და მემონტაჟეებზე;
  - ეს არის სუფთა ენერგია და დაღებითად აისახება გარემოზე.
- ამჟამად საცალო მომხმარებლების საკუთრებაში არსებული ელექტროსადგურებისა და მათ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე ანგარიშსწორება რეგულირდება კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ საფუძველზე. კერძოდ, აღნიშნული წესები განსაზღვრავს საცალო მომხმარებლის უფლებამოსილებას, დააპროექტოს, ააშენოს და მიუერთოს ქსელს ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 100 კვტ-ს.

რაც შეეხება ასეთი ელექტროსადგურის მიერ წარმოებულ და ქსელში მიწოდებულ ჭარბ ელექტროენერგიაზე ანგარიშსწორების წესს, იგი განსაზღვრულია „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის თანახმადაც, თუ განაწილების ლიცენზიატსა და საცალო მომხმარებელს შორის სხვა პირობა არ არის შეთანხმებული, ანგარიშსწორებისას გალდებულებები უნდა შესრულდეს შემდეგი წესით: საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის დირებულების გაქვითვა მოხდება მის მიერ განაწილების ლიცენზიატის ქსელიდან მიღებული (მოხმარებული) ელექტროენერგიის დირებულებიდან, სადაც საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის ფასი ტოლი იქნება მის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული (მოხმარებული) ელექტროენერგიის ტარიფსა და ელექტროენერგიის განაწილების ტარიფებს შორის სხვაობისა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომისიაში 2015 წელს განხილული დავების გათვალისწინებით (2015 წლის 29 ოქტომბრის № 57/78 გადაწყვეტილება შპს „ინსტასა“და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის არსებული დავის შესახებ და 2015 წლის 7 ივლისის № 36/2 გადაწყვეტილება შპს „აბსოსა“და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ), გამოიკვეთა, რომ საკითხის სრულყოფილად რეგულირების მიზნით საჭიროა საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს საცალო მომხმარებლების საკუთრებაში არსებული მიკროელექტროსადგურების სტატუსი, რათა თავიდან იქნეს აცილებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბუნდოვანება საკითხთან დაკავშირებით, არ მოხდეს ასეთი მიკრო-ელექტროსადგურების მიმართ იმავე ტექნიკური და ადმინისტრაციული მოთხოვნების წაყენება, რომელთა დაკმაყოფილებაც მოეთხოვება საბითუმო გაჭრობაში ჩართულ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს და მაქსიმალურად მოხდეს საცალო მომხმარებლების წახალისება ამგვარი წამოწყებისათვის. აქედან გამომდინარე, კომისიამ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან მჟიდრო თანამშრომლობით შეიმუშავა და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საცალო მომხმარებლების საკუთრებაში არსებული მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურის განმარტებას, სტატუსისა და სხვა ძირითადი პრინციპების განსაზღვრას, ხოლო, თავის მხრივ, კომისია ვალდებულია შესაბამისობაში მოიყვანოს და განავითაროს კანონ-ქვემდებარე ნორმატიული აქტები "ნეტო აღრიცხვასთან" მიმართებით.